1 მაისი

აღდგომის III კვირა [III] თ

წმ. იოსებ მშრომელი

2017 ორშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

ღვთის საქმე ის არის, რომ ირწმუნოთ იგი, რომელიც მან მოავლინა იო 6,29

მამის გულის გასახარებლად ვღებულობ მის საჩუქარს, იესოს, რათა ჩემი ცხოვრების გზა მიმითითოს. იესოს კვალში სვლით, ანუ თუ მივენდობი და დავყვები მას, აღმოჩნდება რომ მამის ნება ამისრულებია. ეს ჩემთვის სიამაყის მიზეზად როდი იქცევა, ანდა პრეტენზიებს კი არ წავუყენებ მას, რაკი ვუწყი, რომ ჩემი ნდობისა და მისდამი რწმენის უნარს ჩემში აღძრავს და შეეწევა წმიდა სული, ანუ ესეც მისი ნამოქმედარია!

2 მაისი

აღდგომის III კვირა [III] თ

წმ. ათანასე ეპ. და ეკლ. მოძღვ., +373 , (მ)

2017 სამშაბათი

საქმ 7,51 – 8,1; ფს 30; იო 6,30-35

მამა გაძლევთ ჭეშმარიტ ზეციდან იო 6,32

უდაბნოში იესომ დაამარცხა მაცდური წმიდა წერილების მოხმობით: *„არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამოსული ყოველი სიტყვით“*. ნამდვილი პური, რომელიც ანაყრებს სწორედ ისაა, რასაც ღმერთი, მამა გვაძლევს: მისი სიტყვაა, იესო, მისი გულიდან გამოსული მარადიული სიტყვა, მთელ მის სიყვარულს რომ გვიწვდის და გვანიჭებს სავსე სიცოცხლეს.

3 მაისი

2017

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

ოთხშაბათი

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

მე მამაში ვარ, მამა კი ჩემში იო 14,11

იესო უხსნის მოციქულებს – ამისი მიზეზი მას მისცა ფილიპეს შეკითხვამ, ფილიპესი, რომელსაც დღეს იაკობთან ერთად ვიხსენებთ – მამასთან თავისი ერთობის საკვირველ საიდუმლოს. *„მე მამაში ვარ და მამა ჩემში“*. იესო, უფრორე გულით ვიდრე გონებით ცოტათი მაინც ვხვდებით შენს ნათქვამს! ჩვენშიც ხომ ცოცხლობს შენთან სრული ერთობის წყურვილი, ჩვენ რომ გიყვარვართ. ნამდვილად ვატარებთ ჩვენში ღვთის ხატებას, ჩვენი ღვთისა, რომელიცაა სიყვარული!

4 მაისი

აღდგომის III კვირა [III] თ

2017

ხუთშაბათი

საქმ 8,26–40; ფს 65; იო 6,44–51

მე ვარ ცოცხალი პური იო 6,51

მადლობა, მამაო სახიერო, შენი ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულისათვის! ჩვენმა სიურჩემ სიკვდილში ჩაგვაგდო, მაგრამ შენ იპოვე გზა ჩვენთვის სიცოცხლის მოსაბრუნებლად, ნამდვილი სიცოცხლისა, რომელიც აღარა კვდება და მუდამ სიყვარულს გასცემს: მოგვეცი შენი ძე იესო ვითარცა პური! იგი ჩვენში, ჩვენ კი მასთან ერთად შენში, მამაო სახიერო: მარად ცოცხალნი ვართ სავსე სიცოცხლით! ალელუია!

5 მაისი

აღდგომის III კვირა [III] თ

2017

პარასკევი

საქმ 9,1–20; ფს 116; იო 6,52–59

მე ვარ იესო, შენ რომ სდევნი საქმ 9,5

რაოდენ ძვირფასი ყოფილა იესოს ერთი მოწაფე, თუკი თავად იესო თავს აიგივებს მასთან, მეტიც, იმყოფება მასში. იესო ცოცხალია და მოქმედი თავისი მოწაფეების საშუალებით, თავისი ეკლესიის საშუალებით. წმიდა პავლემ, მას შემდეგ, რაც გაიგო რომ იესო ნამდვილად ის მესია იყო, რომელსაც თავადაც მოელოდა, და რომ იგი ჭეშმარიტად აღდგა მკვდრეთით, როგორც იუწყებოდნენ მისი მოწაფენი, იქცა ეკლესიის სვეტად და ყველა ხალხთან მისაღწევად ძვირფას საშუალებად. იესო, მეც მსურს მიყვარდე შენსა და ჩემს ძმებში.

6 მაისი

აღდგომის III კვირა [III] თ

2017 შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

შენა გაქვს სათუკუნო სიცოცხლის სიტყვები! იო 6,68

იესო მზადაა მარტო დარჩეს, მარტო მამასთან! დიდძალი ხალხი მას რომ მისდევდა, მისი ხორცისა და სისხლის გაცემაზე სიტყვის მოსმენისას, გაოგნებული იფანტება... პეტრე მოწაფეთა სახელით, ჩემი და შენი სახელითაც, გამოხატავს იესოსთან დარჩენის გადაწყვეტილებას. შესაძლოა მასაც არ ესმოდა ბოლომდე, მაგრამ განცდილი ჰქონდა მისი სიტყვიდან მომდინარე ნამდვილი სიცოცხლე.

7 მაისი

პასექის IV კვირადღე, «ა», [IV], თ

2017 ვკირა

საქმ 2,14.36-41; ფს 22; 1პეტ 2,20-25; იო 10,1-10

მე ვარ ცხვრის კარი იო 10,7

იესო, შენ თავმდაბალი ხარ, მთლიანად მიმართული მამის დიდებისაკენ, იმ დიდებისაკენ რომელიცაა მისი სიყვარული, სიფაქიზე ჩვენს მიმართ. შენ წარმოგვიდგები როგორც *„კარი“*: ერთადერთი გადასასვლელი მამის გულში შესასვლელად, სიცოცხლის, სიხარულის სისავსის დასაგემოვნებლად. მადლობა, იესო, შენი ყოველი სიტყვისათვის, ეკლესიაში მონიჭებული ყოველი მადლისათვის!

8 მაისი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

2017 ორშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,11-18

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენების დღე +2005

მე ვარ მწყემსი კეთილი იო 10,11

ღმერთს სწადია იყოს მამილო, სურს წარუძღვეს მარადიული მოსვენებისა და სისავსისაკენ თავის შექმნილ ყოველ ადამიანს. მადლობა, იესო, ეს რომ გვითხარი; მადლობა, რომ მამას ოცნება აუხდინე შენი თავის მიძღვნით. ალელუია!

სამშაბათი

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

ფაშიზმზე გამარჯვების დღე

ხელი უფლისა მასთან იყო. საქმ 11,21

როგორც პირველი ქრისტიანები, რომელთა შესახებ მოწმობასაც ვისმენთ ამ საპასექო ჟამს, გაფანტულნი ვართ მრავალ ადგილზე, იქ, სადაც იესოს მაკურთხეველმა მარჯვენამ წარგვგზავნა: საავადმყოფოს პალატაში თუ მოხუცთა პანსიონატში, სასკოლო კლასში, ქარხანაში, სამზარეულოში... ყველგან უფლის ხელი კვლავაც ჩვენთანაა: შეგვეწევა, გვიფარავს, მიგვიძღვის. და ჩვენც მასთან ერთად შეგვიძლია ავაგოთ მისი სასუფევლის ერთი მცირე ნაწილი, რომელიცაა *„სიყვარული, სიხარული, მშვიდობა წმიდა სულში“* და რომელიც აღძრავს და განავრცობს ნამდვილ სიცოცხლეს.

10 მაისი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

2017 ოთხშაბათი

საქმ 12,24-13,5; ფს 66; იო 12,44-50

წუთისოფლის განსასჯელად კი არა, არამედ მის სახსნელად მოვედი იო 12,47

გეთაყვანები, უფალო იესო: შენ მოსულხარ
არა წუთისოფლის განსასჯელად, არამედ მის
სახსნელად... და რა ფასად! ამ წუთისოფელში
მეცა ვარ, ეს წუთისოფელი ჩემშიცაა და ცდილობს
გულისყური გამიფანტოს, რომ არ ვირწმუნო შენი
სიტყვა, რომ არ შევიგნო ის უკიდეგანო სიყვარული,
რითაც გიყვარვარ.
სულო წმიდაო, შემეწიე დავანებო იესოს, ვუყვა-
რდე, დავანებო მას, გამინათოს და წარმიძღვეს
სავსე სიცოცხლის გზაზე!

11 მაისი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

2017 ხუთშაბათი

საქმ 13,13-25; ფს 88; იო 13,16-20

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

ღმერთმა მოუვლინა ისრაელს მხსნელად იესო- საქმ 13,23

გუშინ ვისმინეთ იესოს სიტყვა: *არ მოვსულვარ წუთისოფლის განსასჯელად, არამედ მის სახსნელადო*. დღეს ვისმენთ პავლე მოციქულის სიტყვას, რომ გვაუწყებს ღმერთის დიად გულმოწყალებას ისრაელის მთელი ისტორიის მანძილზე, რომელიც სრულდება მაცხოვარი იესოს მოვლინებით. ჭეშმარიტად ღმერთი, ჩვენი უფლის იესოს მამა მარადიული და ერთგული სიყვარულია და სწადია ჩემგან ამის მოსმენა: *„შენა ხარ მამა ჩემი, ღმერთი ჩემი და კლდე ჩემი მხსნელი“*.

12 მაისი

2017 პარასკევი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

წმმ. ნერეოს და აქილევსი, წამ. +IIIს.;
წმ. პანკრაციუსი, წამ. + 304

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

წმ. ანდირა მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

ნუ შეკრთება თქვენი გული იო 14,1

იესოს მოლოდინში ვცხოვრობთ, იმ მოლოდინში, რომელიც დაიწყო პირველმა მცირე ეკლესიამ, რომელმაც, როცა შეჰყურებდა თავის ზეცად აღმავალ უფალს, ირწმუნა ანგელოზის სიტყვა: *„...დაბრუნდება...“*. ჩვენს გულში ცოცხლად ჟღერს იესოს სიტყვა: *„ნუ შეკრთება თქვენი გული“*; ჩვენი სიმშვიდით გამოვთქვათ ჩვენი სიყვარული, ჩვენი სასოება: იგი, თავის დიდებაში კვლავაც ფიქრობს და მუდამ ფიქრობს ჩენზე. მადლობა, იესო!

13

2017

მაისი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

ფატიმის ნეტ. ქალწ. მარიამი - 1917

შაბათი

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

მოწაფენი სავსენი იყვნენ სიხარულითა და წმიდა სულით საქ 13,52

აქ საუბარია ახალდაბადებულ ეკლესიაზე: მიუხედავად ყველა დევნისა, რასაც გზად ხვდებოდა, სავსე იყო სიხარულითა და წმიდა სულით. იგივე სიხარულია, იგივე წმიდა სულია, ჩვენს გულებსაც რომ აღავსებს, როდესაც იესოს თუნდაც ერთი სიტყვის შესრულება გამოგვდის ხოლმე: მისი სიყვარულისათვის ერთ უხეშობას ღიმილით ვუპასუხე, მისი სიყვარულისათვის მოთმინებით მოვექეცი ჩემს უმცროს დაიკოს, რომელსაც მათემატიკის დავალება ერთულებოდა, მისი სიყვარულისათვის... და იესო არასოდეს ტოვებს უპასუხოდ ჩვენს სიყვარულს, რადგან ის ყველა სხვა ძღვენზე მეტად ახარებს!

14 მაისი

პასექის V კვირადღე, «ა» , [I], თ

2017 ვირა

საქმ 6,1–7; ფს 32; 1პეტ 2,4–9; იო 14,1–12

მერწმუნეთ საქმ 14,11

იესო მოუხმობს თავისიანებს, დღეს კი ჩვენც, მეც, ვირწმუნოთ რომ იგი მამაშია და მამა – მასში; ანუ, ვირწმუნოთ, რომ იესო ღმერთია, უფალი, რომელიც იმსახურებს ჩემი ცხოვრების მესაჭეობას. *„თუ არადა* – დაურთავს იესო – *ჩემს საქმეთა გამო მაინც ირწმუნეთ“*. დიახ, იესომ აჩვენა რომ იგი ბუნების მბრძანებელია, სნეულებები და ეშმაკებიც მის სიტყვას ემორჩილებიან; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა მან აჩვენა 'ღვთაებრივი სიყვარული', რომელსაც ვერაფერი გაეჯიბრებოდა. იესო, დიახ, მწამს შენი, მოგენდობი შენ, რადგან შენმა სიყვარულმა სძლია ჩემს ცოდვას, ჩემს მტერს, ჩემს სიკვდილს. შენ სრულად გაეცი შენი თავი ჩემთვის.

15 მაისი

2017

აღდგომის V კვირა [I] თ

ორშაბათი

საქმ 14,5–18; ფს 113; იო 14,21–26

მე შევიყვარებ მას და გამოვეცხადები იო 14,21

ზოგჯერ იესო გვთხოვს ხოლმე ჩვენი სიყვარულის მცირე თუ დიდ ნიშანს: სურს ვჭირდებოდეთ ჩვენ, მნიშვნელობას გვანიჭებს თავისი საქმისათვის, თავისი სასუფევლისათვის. და არც საზღაურს გვიგვიანებს, როდესაც გვანიჭებს მისი უკეთ გაცნობის, მის გულში უფრო ღრმად შესვლის ნიჭს.

16 მაისი

2017

აღდგომის V კვირა [I] თ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი;
(3.V) ღირ. მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი

სამშაბათი

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

შეაკვედრეს ისინი უფალს, რომელიც ირწმუნეს იო 14,23

მოციქულები, მას შემდეგ რაც იქადაგეს იესო, თავად მას მიანდობენ თავიანთ ნაღვაწს. შეგვიძლია მათგან ვისწავლოთ: უფლისაგან მონდობილი მსახურების შესრულების შემდეგ, ჩვენი შრომა მის ხელს მივანდოთ, მშვიდად: იგი შეძლებს გამოიღოს მისი ნაყოფი, იმ დროში და იმგვარად, რომელიც მხოლოდ მან უწყის.

17 მაისი

აღდგომის V კვირა [I] თ

2017 ოთხშაბათი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

დარჩით ჩემში და მე თქვენში იო 15,4

მავანს, ისე, რომ არც კი იცოდა, მიჰქონდა ერთი რამ რაც ძალზე ძვირფასი იყო ჩემთვის... არადა სწორედ იმ დილას წავიკითხე: *„მთხოვნელს მიეცით“*. მეძნელა საქმე, თავსაც ვიცავდი, ბოლოს კი ვეცადე მეძალადა საკუთარ თავზე და დავრჩენილიყავი იესოს მხარეს, მასთან ერთად მოვმკვდარიყავი... იმთავითვე არ გამომსვლია, თუმცა იმ „წმიდა გარჯისათვის“ ვმადლობ იესოს.

18 მაისი

აღდგომის V კვირა [I] თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, + 526

2017 ხუთშაბათი

საქმ15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

დარჩით ჩემს სიყვარულში იო 15,9

იესო იცნობს თავის მოწაფეს, შენც გიცნობს და
მეც; უწყის, რომ მისი სიყვარულია ის ადგილი,
სადაც შეგვიძლია კარგად ყოფნა, ზრდა, ნაყოფის
გამოღება, კმაყოფილება.
შენ იქნები, იესო, დღეს ჩვენი სუნთქვა,
ჩვენი წყურვილი, ჩვენი მცირე თუ დიდი საქმის
მიზეზიც და მიზანიც!

19 მაისი

2017

აღდგომის V კვირა [I] თ

პარასკევი

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

თქვენ კი არ აგირჩევივართ,
არამედ მე აგირჩიეთ თქვენ იო 15,6

შენ ამირჩიე, იესო: ეს ნიშნავს, რომ შემომხედე და შეგიყვარდი. ვერ ვხედავ ამის მიზეზს: მცირე და უმნიშვნელო ვარ, ღატაკი და ცოდვილი... მაგრამ სიყვარული ხომ ბრმაა, მას თავისი ფესვები მამის გულში აქვს გამდგარი. გმადლობ, განვისვენებ, მოგეძღვნები შენ!

20

მაისი

აღდგომის V კვირა [I] თ

წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი +1444

(7.V) წმ. ღ. იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, (მ)

2017

შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

თუკი სძულსართ წუთისოფელს, იცოდეთ, რომ თქვენამდე მე შემიძულა იო 15,18

იესოს მტერს, მას, ვინც გატანჯა იგი ხორცსა და სულში, ვძულვართ ჩვენც, იესოს მეგობრები. ზოგჯერ იმ ხალხს იყენებს იარაღად, მას რომ მორჩილებენ, ზოგჯერ კი თავად მოქმედებს, ჩვენი სულის სიღრმეში ჩვენი ცდუნებით. იესოს დარად ჩვენც შეგვიძლია გარდავქმნათ მთელი ეს ბოროტება კურთხევისა და ხსნის იარაღად, თუკი ყოველივეს მამას მივუძღვნით, მას გადავაბარებთ და მივანდობთ. ალელუია!

21 მაისი

პასექის VI კვირადღე, «ა», [II], თ

2017 ვირა

საქმ 8,5-8.14-17; ფს 65; 1პეტ 3,15-18; იო 14,15-21

თუკი გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებები იო 14,15

იესო, გაგიმხელ ჩემს შიშს, ვერ ვახერხებ შენს შეყვარებას... აღარა ვგრძნობ იმ სიხარულს, როგორც შენი გაცნობის დასაწყისში, მიჭირს შენი „მცნების“ შესრულება, ხშირად არ გამომდის... თუმცა, ფარ-ხმალს როდი ვყრი, კვლავ და კვლავ შენთან მოვდივარ და გთხოვ შემწეობასა და მოტევებას, მადლობას გწირავ... ვუწყი, რომ ჩემი გულის სიმშვიდეც შენი მცნებაა! მადლობა, იესო!

22

მაისი

2017

ორშაბათი

აღდგომის VI კვირა [II] თ

წმ. რიტა კასიადან, +1447
(9.V) წმ. შიო მღვიმელი (VIს.)

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

ფუფალმა გაუხსნა მას გული ჰკავლეს სიტყვების მისაღებად საქმ 16,14

ეს სიტყვა გვამხნევებს, რათა სულგრძელნი და გამძლენი ვიყოთ ლოცვის საქმეში. იესოს შემოშვება ხომ, უპირველეს ყოვლისა, მამის ნიჭია. ლოცვით გავუხსნათ მას გზა, იმოქმედოს ჩვენს გულებში.

23 მაისი

2017

აღდგომის VI კვირა [II] თ

სამშაბათი

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

იწამე უფალი იესო და გადარჩები საქმ 16,31

შესაძლოა შენც დაგმართვნია, რომ დილით იღვიძებ იმედისა და სიხარულისაგან სრულად დაცლილი, შენი საქმეების შესასრულებლად ძალაგამოლეული... ვილოცოთ, მივუძღვნათ დღის პირველი ნაწილი უფალ იესოს: ჩვენც ამოვიცნობთ, ყველა ჩვენი მოძმის მსგავსად, რომ იესო ჩვენი მაცხოვარია!

24 მაისი

აღდგომის VI კვირა [II] თ

2017 ოთხშაბათი

საქმ 17,15.22 – 18,1; ფს 148; იო 16,12–15

ყოველივე რაც მამას აქვს, ჩემია იო 16,15

იესო, შენ ჩემთან იმავე თანაზიარებაში ხარ, როგორც მამასთან. ჩემია შენი გულმოწყალება, ჩემია შენი სიბრძნე, ჩემია შენი თავმდაბლობა... ჩემია შენი გული! ლოცვით, ძმათა გამოწვდილი ხელით, შენს ეკლესიაში ბოძებულ ნიჭთა მიღებით, დავიცავ ყველა ამ სიკეთეს: ესაა ჩემი საუნჯე!

25 მაისი

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

2017 ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; ფს 46; ეფ 1,17-23; მთ 28,16-20

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

მე თქვენთანა ვარ ყოველ დღე წუთისოფლის აღსასრულამდე

მთ 28,20

სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მზერისათვის უჩინარდები, იესო, მომართავ ჩვენკენ ამ სიტყვას, სიტყვას, რომელიც გვანიჭებს ძალასა და სიხარულს, რათა ვიცხოვროთ როგორც შენმა ნამდვილმა მოწაფეებმა. დიახ, დღეს შენ უბრუნდები შენს ადგილს მამის მარჯვნივ, ზეცაში! მონაწილე ხარ მთელი მისი ძალმოსილებისა, ანუ, ძალგიძს მოგვმადლო მისი სიყვარული ყოველთვის და ყოველგან, ჩვენი ცხოვრების ყოველ გარემოებაში! გჯვრეტ და გეთაყვანები, იესო, უფალო ჩემო! ალელუია!

26 მაისი

2017 პარასკევი

აღდგომის VI კვირა [II] თ

წმ. ფილიპე ნერი, +1595, (მ);
(13.V)წმ. ღირ. ექვთიმე ათონელი, + 1028წ.

საქმ 18,9–18; ფს 46; იო 16,20–23

სულთმოფენობის ნოვენა;
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ნუ გეშინია; განაგრძე ლაპარაკი... მე შენთანა ვარ საქმ 18,9

პავლე, წარმართთა დიდი მოციქული, გულში „მცირეა“: მისი სახელიც ხომ ამას ნიშნავს! სჭირდება იესო, სჭირდება მისი სიახლოვე, ნუგეში მისგან, გამხნევება, გაძლიერება... იესო, ჩვენ ყველანი, შენი მოწაფენი, შენი „მცირენი“ ვართ; განგვამტკიცე, შეგვეწიე, რათა შევძლოთ შენზე საუბარი: ყველას სჭირდება ეს!

27

2017

მაისი

აღდგომის VI კვირა [II] თ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ. +604

შაბათი

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

ითხოვეთ და მოგეცემათ იო 16,24

იესო, ჩვენ, შენი ეკლესია სწორედაც რომ ამ სიტყვას ვემორჩილებით: ვთხოვთ მამასა და შენ, რომ მოვიდეს წმიდა სული. ის შენი მსხვერპლის ნაყოფია, ისაა თავად მამის სიყვარული ჩვენში, რომელიც გვანუგეშებს, სიხარულით აღგვავსებს. მოდი, სულო წმიდაო!

28 მაისი

პასექის VII კვირადღე, «ა» , [III], თ

2017 ვირა

საქმ 1,12-14; ფს 26; 1 პეტ 4,13-16; იო 17,1-11ა

ესაა სათუკუნო სიცოცხლე, გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს იო 17,3

თავის ლოცვაში ავლენს იესო ყოვლადაღმატებული სახით იმ თანაზიარებას, მამასთან რომ აკავშირებს მას. ეს ლოცვა კი მან თავისი სიკვდილის წინ აღავლინა, მთავარი მისიის შესრულებისას. მამის სიტყვა, მისი მთავარი სათქმელი გაჟღერდა მასში, და დაგვანახა, თუ ვინ ყოფილა თურმე ღმერთი სინამდვილეში. უფალო იესო, რაკი ვირწმუნეთ ეს შენი სიტყვა, უკვე წუთისოფელს როდი ვეკუთვნით, არამედ შენი ვართ; მაშ, დაგვიცავ ეკლესიის ერთობაში, რათა კვლავაც გამოჩნდე ჩვენში.

29 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

2017

ორშაბათი

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

მაგრამ მე მარტო არა ვარ იო 12,24

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კვირადღეს წირვაზე ვამბობთ მრწამსს და ყოველწლიურად ვაღიარებთ ჩვენს სარწმუნოებას საპასექო ღამისთევაზე, უამრავ გარემოებაში, უფალო იესო, ჩვენი უძლურება გვიბიძგებს შენი ღალატისა და შენგან დაშორებისაკენ. ქმენ, არ მიგატოვოთ ამ წუთისოფელში, რომელშიც გნებავს, რომ შეგიყვაროთ, როგორც უყვარხარ მამას სული წმიდაში, მარადიული ერთგულებით!

30 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

2017

სამშაბათი

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

შენი სახელი გამოვუცხადე ადამიანებს იო 17,6

იესო, შენ ბოლოს და ბოლოს უჩვენე ადამიანებს ღმერთი! უჩვენე იგი შენს მზერაში, შენს სიყვარულით მძლავრ ხელებში, შენს სიტყვებში, შენს სიცოცხლესა და შენს სიკვდილში ჩვენთან ერთად და ჩვენთვის! მადლობა, იესო! აღარ გვაშინებს ღმერთი, აღარა გვგონია იგი შორი! აღრც სიცოცხლე და აღარც სიკვდილი აღარ გვაშინებს! ალელუია!

31 მაისი

2017

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ
(18.V) წმ. მოწამენი დავითი და ტარიჭანი

ოთხშაბათი

სოფ 3,14–17 (ან, რომ 12,9–16); საგ.: ეს 12,2–6; ლკ 1,39–56

დალოცეთ თქვენი მდევნელნი *რომ 12,14*

დღეს ვუმზერთ ყოვლადწმიდა მარიამს, რომელიც მძიმე მოგზაურობას ეჭიდება მუცლად პატარა იესოსთან ერთად. ხანდაზმულ ნათესავ ელისაბედს, რომელიც მასთან ესოდენ ახლო იყო უფლის რწმენის მიერ, ესაჭიროება დახმარების ხელი. წავიკითხოთ ამ დღესასწაულისათვის განკუთვნილი პავლე მოციქულის ნაწყვეტი: ვისწავლით სიყვარულს, ვისწავლით თავად ღმერთის სიყვარულის, წმიდა სულის შემოშვებას ჩვენს გულებში და დედის გულსაც გავახარებთ!